ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის
2023 წლის მუშაობის ანგარიში

ააიპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი კოორდინაციას უწევს ქალაქში არსებულ სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და გადამდები და არაგადამდები დაავადებების დროული რეაგირების მიზნით. ასევე გეგმავს დაავადებათა პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებებს.

ცენტრის მიერ ხორციელდება 4 სახელმწიფო და 1 მუნიციპალური პროგრამა.

1. ეპიდზედამხედველობისა და სამედიცინო–საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფის პროგრამა;
2. იმუნოპროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა;
3. პარაზიტული დაავადებების (ჰელმინთოზები და მალარია) პროფილაქტიკის პროგრამა
4. საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტების და სასკოლო სააღმზრდელო ობიექტების სანიტარული მდგომარეობის შემოწმება;
5. სისხლის გზით გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის მუნიციპალური პროგრამა.

ეპიდზედამხედველობისა და სამედიცინო–საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფის პროგრამა მოიცავს ინფექციური დაავადებების აღრიცხვა–რეგისტრაციას, სავალდებულო კერების ეპიდემიოლოგიურ კვლევას, განსაკუთრებით საშიში დაავადებების გავრცელების შეზღუდვის მიზნით, შესაბამისი ეპიდ. საწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა–გატარებას.

2023 წელს აღრიცხული იყო შემდეგი ინფექციური დაავადებები:

- ყივანახველა--0
- წითელა -- 0
- ყბაყურა -0
- ჩუტყვავილა-22
- ქუნთრუშა 5
- საკვებისმიერი მოშხამვა- 0
- ბრუცელოზი 2
- ლეპტოსპიროზი 13
- ლეიშმანიოზი 1
- დენგეს ცხელება 1 შემოტანილი
- ცოფის რისკის ექსპოზიცია 1091
- ტუბერკულოზი 22 (16 ლაბ.დადასტ.)
- კოვიდ 19-- 29
- ნოზოკომიური პნევმონია 5
- ნოზოკომიური სეფსისი 1
- ორსულთა სიფილისი 0
- დაუდგენელი ეთიოლოგიის დიარეა 33

- ბორელიოზი (ლაიმის დაავადება) 22
- საპილოტე პროგრამა”C+HIV+TUB”-2870მ.შ. დადებითი 4
- სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელება-1
- რეპროდუქციულ ქალთა სიკვდილობა - 2 (1 შემთხვევა საოჯახო-პოლიტრამვით, მე 2-ე შემთხვევა - ქრონიკული ბ ჰეპატიტის გართულებით).

0--5 წლამდე ბავშვთა სიკვდილობის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა;
აღინიშნება მატება:
ნოზოკომიური ინფექციების **3** შემთხვევით - სტაციონარებში;
რეპროდუქციულ ქალთა სიკვდილობის - **2**-ით;
ლეპტოსპიროზის 11-ით;
ლაიმის დაავადება (ბორელიოზის) 19-ით.

იმუნოპროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებები შეუფერხებლად მარაგდება გეგმიური ასაცრელი ვაქცინებით, სპეციფიკური და სტრატეგიული შრატებით. ყველა სამედიცინო დაწესებულება, რომლებიც ჩართულია იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში-- აღჭურვილია ინდიკატორებით და ელექტრო თერმომეტრებით. გეგმიურად მიმდინარეობს მათი მონიტორინგი ცივი ჯაჭვის პრინციპის დაცვის საკიხებზე. ამ კუთხით დარღვევის ფაქტები არ ყოფილა.
ბავშვთა პროფილაქტიკური აცრებით მოცვის წლიური პროცენტული მაჩვენებლები საშუალოდ შეადგენს 88-98 %-ს. .
2023 წლის 24-29 აპრილს ჩატარდა იმუნიზაციის კვირეული, რამაც ხელი შეუწყო პროფილაქტიკური აცრებით მოცვის მაჩვენებლების ზრდას.
პროფილაქტიკის მიზნით ჰელმინთოზებზე სულ 317 გამოკვლევა ჩატარდა. მ.შ. 30 დადებითი შემთხვევა, რაც შეადგენს 9,5 %-ს.ინვაზირებულების მშობლებს მიეწოდა მკურნალობისა და პროფილაქტიკის შესახებ ინფორმაცია.

აპრილისა და მაისის თვეში ჩატარდა ანოფელოგენური წყალსატევების აღრიცხვა პასპორტიზაცია და თევზი გამბუზიის გავრცელება. სულ დარეგისტრირებულია 24 ანოფელოგენური წყალსატევი.
შავიზღვისპირა საკურორტო ზონაში, ტრანსმისიული დაავადებების გადამტანებთან წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის ფარგლებში,დამუშავდა ანტისექციდური პრეპარატით „სოლფაკით,“ კოღოს დღის სამყოფელი, (საცხოვრებელი ბინების სადარბაზოები, სარდაფები, კერძო სახლებში ფრინველთა და ცხოველთა სადგომები). დამუშავდა 1 760 000 კვ. მ ფართი, დაიხარჯა 800 კგ. სოლფაკი.

საანგარიშო წელს სსიპ საჯარო სკოლებში ჩატარდა შერჩევითი მონიტორინგი სან-ტექნიკური და სან-ჰიგიენურ მდგომარეობის მიზნით. ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.
ფოთის მუნიციპალიტეტის საზედამხედველო ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონების მომსახურე პერსონალი და მეპატრონეები ინფორმირებული არიან საქართველოს მთავრობის 2015 წ. 14 სექტემბრის #473 დადგენილების თანახმად სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს

სანიტარული ნორმების დაცვის საკითხებზე. სულ 2023 წელს შემოწმდა 58 ინდ.მეწარმე. დაწესებულებების უმეტესობაში არ იყო სრულად დაცული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, მიეთითათ და მიეცათ გონივრული ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

სისხლის გზით გადამდები დაავადებების გამომწვევი რისკ ფაქტორების და გადაცემის გზების პროფილაქტიკის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ჩატარდა მონიტორინგი სტომატოლოგიურ კლინიკებსა და კაბინეტებში, ასევე სილამაზის სალონებში. მონიტორინგისას გამოვლენილ ხარვეზებზე მიეთითათ და მიეცათ ვადა მათ გამოსასწორებლად.

სსიპ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან დადებული ხელშეკრულების თანახმად სტომატოლოგიურ კლინიკებში ჩატარდა 12 ბაქტერიოლოგიური ანალიზი იარაღების სტერილიზაციის და დეზინფექციის ხარისხის შესაფასებლად. დარღვევა არ გამოვლენილა.

ქალაქში 2023 წელს „სამეგრელოს პილოტი„ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სკრინინგული 2870 სკრინინგული კვლევა ც ჰეპატიტზე, აივ/შიდსი ინფექციის მტარებლობაზე და ტუბერკულოზზე. გამოვლინდა ც ჰეპატიტის 40 დადებითი შემთხვევა, აივ ინფექცია/შიდსის -0, და ტუბერკულოზის 0 შემთხვევა.

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის თანახმად იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ფარგლებში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ შემოწმებული იქნა 338 ობიექტი.დაკვირვების მიხედვით ობიექტების უმეტესობას აქვს გაკრული თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ ინფორმაცია, ჯანდაცვის სამინისტროს გაფრთხილება, ცხელი ხაზის ნომრის მითითებით.
სამოქმედო გეგმის მიხედვით მონიტორინგი ქალაქის მაშტაბით დღემდე მიმდინარეობს.

სულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული სამუშაოებისათვის გაიხარჯა- 298 944 ლარი. მ.შ. ტრანსფერის თანხიდან გაცემულმა სარგომ და ხარჯვითმა ნაწილმა 2023 წლის განმავლობაში შეადგინა-193 843 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა -27 140 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან- 77 961 ლარი.

2023 წლის განმავლობაში სჯდც-ს შესყიდვების გეგმა შეადგენს-28 299 ლარს. წლის განმავლობაში გაფორმებულია 37 შესყიდვის ხელშეკრულება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულია 17 პირი, აქედან 14- საშტატო განრიგით, ხოლო 3- ხელშეკრულებით. დასაქმებული პირებიდან 16 ქალი და 1 მამაკაცია.